წელიწადი მეორე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

# წითელი არმიელი

ფასი 5000 მანეთი.

გაზეთი გამოდის ყოველ-დღიურათ მასალები მიიღება რედაქც. 9—3 საათ. ყოველ დღე. რედაქ. მისამ.: საპიორ. ქ. № 30. პირველი სართული.

სამშ. 31 ოქტომბერი 1922 წ.

№ 132 ქართული დივიზიის პოლიტგანყოფილების ყოველდღიური ორგანო № 132

## განცხადება

**სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის შტაბის სტამბა.**
(ლორის-მელიქოვის ქ. № 3)

ამით აცხადებს, რომ სტამბასთან გაიხსნა **სამხედრო წიგნთა მაღაზია**, სადაც მოიპოვება ყოველგვარი საანგარიშო წიგნები და ბლანკები სამხედრო დაწესებულებითა, სამმართველოებთა და ნაწილთათვის, რომელთა შეძენა შეიძლება მაღაზიაში მხოლოდ ნაღდი ანგარიშით.

მაღაზია მალე დაიწყებს ვაჭრობას აგრეთვე ყოველგვარი საკანცელარიო ნივთებით და ექნება დამზადებული რვეულები.

სტამბის უფროსი **გ. მიხელიძე.**

სამხ. კომისარი **მინდიაშვილი.**

## დიდი დღესასწაული ახლოვდება.

უახლოვდებით ოქტომბრის რევოლიუციის 5-თი წლის თავის დღესასწაულს.

რამოდენიმე დღე კიდევ და, ეს ბრწყინვალე დღესასწაულიც გვესტუმრება.

დაისმება კითხვა:

მზად ვართ, რომ ღირსეულად შევხვდეთ ამ დიად დღეებს?

მზათ ვართ რომ ეს უდიდესი დღესასწაული მშრომელ ხალხისთვის, ჩავატაროთ ისე, რომ მით გამოწვეული აღტაცება და აღფრთოვანება, ყველა „ურწმუნო თომათ“ უხატავდეს თვალ-წინ, თუ რა ძვირფასია ეს დღეები მშრომელ ხალხისთვის, თუ რისთვის შეტრფის ის მათ ასე ალერსით და სიხარულით, თუ რისთვის ძგერს ყველა ტვირთ-მძიმეთა და ჩაგრულთა გული უსაზღვრო სიხარულით ამ დღესასწაულის გაგონებაზე?

უნდა დავჭიმოთ მთელი ჩვენი ძალა და ენერგია, უნდა მოვიხმაროთ ყოველგვარი საშუალებანი, რომ მივცეთ ამ დიად დღეებს ის ბრწყინავი სახე და ელფერი, რომელიც აალგზნებს თვით, იმ ჭრელი გველების გულსაც კი, რომლებიც დღეს ეგრე ასისინებენ ენას და სწამლავენ ხუთ-ქიმიან ვარსკვლავით გაბრწყინვალებულ არე-მარეს. უნდა ათქმევიოს თვით ამ ჭრელ გველებსაც ამ დღეების შარავანდედმა, რომ ისინი ცდებოდნენ და ცდებიან დღესაც მწარედ, რომ ისინი ამაოდ ცდილობდნენ და ცდილობენ დღესაც მშრომელი ხალხის თვალის ახვევას, რევოლიუციის ცეცხლის ალში გამობრძმედილ პროლეტარიატის დაბრმავებას.

დიადია ოქტომბრის რევოლიუცია და მის მიერ დანთებული ცეცხლის გრიგალი.

დიადი რუსეთის პროლეტარიატის ჯერ კიდევ რუსეთში არ გაგონილი. 5 წლის გოლიათური ბრძოლა ყველა ქვეყნების მუქთა-ხორებთან და პარაზიტებსთან.

და სიდიადით დასრულდა მან, ეს თავ-განწირული ბრძოლა. მან ერთხელ და სამუდამოთ მოსპო გაანადგურა ის ყვავ-ყორნები, ტურა აფთრები, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში ობობასავით სისხლსა სწოვდნენ რუსეთის მშრომელთ.

და დღესასწაულობს ის დღეს თავის გამარჯვებას.

თავის ხუთი წლის ბრძოლების ნაყოფიერ შედეგებს.

და ტრიუმფით შეხვედრა უნდა ამ დღესასწაულს.

ჩვენმა ახალგაზრდა წითელმა ლაშქარმაც ქებათა-ქების სიმღერით უნდა შეხვდეს მას და თავის ჯერ კიდევ ნორჩია, მაგრამ წრფელი გულით მხურვალე სალამი მიუძღვნას მის სიდიდეს.

ამხ-**სამხკომებო, პოლიტ-მუშაკნო და წითელ-არმიელებო,** დღესვე გმართებთ ყველას ამოძრავება დღესვე გვმართებს ყველას მზადების დაწყება.

ბრწყინვალეა ეს დღესასწაული და ბრწყინვალეთ უნდა შევხვდეთ მას უნდა დაუმტკიცოთ ყველას ამ დღესასწაულზე, თუ საქ. ახალგაზრდა წითელი არმიაც როგორი სიხარულით და აღტაცებით ხვდება ამ დღეებს, თუ როგორ სოლიდარულათაა ის რუსეთის წითელ არმიასთან მასთან ერთად, თუ როგორი აღფრთოვანებით ეგებება ის თავის წმინდა კლასიურ საზეიმო დღეს.

**ვემზადოთ ყველამ. დიდი დღესასწაული ახლოვდება.**

## დღევანდელი ცნობები

**— იტალიის ფაშისტებმა გადასწყვიტეს რომის აღება.**

**— ვლადივასტოკში შევიდა წითელი არმია, რომელსაც მცხოვრებლები აღტაცებით შეეგებენ.**

**— ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის მთავრობებმა საბჭოთა რუსეთი მიიწვიეს ახლო-აღმოსავლეთის საზავო კონფერენციაზე, რომელიც შესდგება ლოზანში.**

## ახლო აღმოსავლეთის ამბები.

— ანგორის მთავრობამ გამოსცა ბრძანება, რომელიც უკრძალავს სმირნიდან გასვლას ვისაც ამისათვის განსაკუთრებული ნებართვა არ ექნება მთავრობისაგან.

— „დეილ მეილ“ იტყობინება რომ ბონარ-ლოუს განზრახული აქვს მესოპოტამიისა, სირიისა და პალესტინის ევაკუაცია.

— ფიქრობენ, რომ საბერძნეთის წარმომადგენლად ახლო-აღმოსავლეთის კონფერენციაზედ იქნება ვენიზელოსი და კუკოლა განოსი.

## სხვა და სხვა ამბები

### ინგლისი

— ლონდონში შესდგა მუშათა პარტიის 12 ცნობილ მოღვაწეთა თათბირი. მომუშავებულია ხაზი რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ პარლამენტის არჩევნების დროს. დაადგინეს არ შეჰკრან ბლოკი არც ერთ პარტიასთან.

— პარტიული ორგანიზაციების შეთანხმებით პარლამენტის არჩევნების დღე 15 ნოემბერი იქნება გამოცხადებული უქმედ, რომ საშვალება მიეცეს მუშებს არჩევნებ ში მონაწილეობისა.

— მიღებულია ზომები რათა აცილებულ იქმნას შეტაკებები ბონარ-ლოუს მომხრე კონსერვატორებსა და ლოიდ-ჯორჯის მომხრე ნაციონალ-ლიბერალებს შორის.. კონსერვატორებმა გადასწყვიტეს არ ებრძოლონ ლოიდ-ჯორჯს და ჩერჩილს და აგრეთვე არ ჩაუდგნენ ოპოზიციაში დამოუკიდებლებს ასკვიტის მეთაურობით. ყველა პარტიები იჩენენ დიდ მოქმედებას და ფიქრობენ არჩევნები ენერგიულად ჩატარდება

— ინგლისის მეფემ ხელი მოაწერა ბრძანებას პარლამენტის დათხოვის და ახალი პარლამენტის 20 ნოემბრისათვი არჩევის შესახებ. არჩევნები დანიშნულია 4—15 ნოემრამდე.

### იტალია.

— ნეაპოლში მომხდარ იტალიის ფაშისტების კონგრესზე გამოქვეყნებული პროგრამა მოითხოვს საარჩევნო უფლების რეფორმას: პარლამენტის დათხოვას. ახალი არჩევნების დაუყოვნებლად მოწვევას და ფაშისტებისათვის სამხედრო, საზღვაო და შრომის მინისტრების პორტფელების დათმობას.

— მილანში ფაშისტებმა გამოუშვეს მანიფესტი, რომელშიაც აცხადებენ, რომ ისინი მიდიან რომზე. ყოველივე უფლება გადაცემული აქვს ფაშისტების კომიტეტს, რომელსაც მიანიჭეს დიქტატურის უფლებები.

— იტალიაში ფაქტას კაბინეტი გადადგა, კაბინეტის გადადგომა როგორც იტყობინებიან გამოწვეულია ფაშისტების მიერ, რომელნიც იმუქრებიან რომისაკენ გალაშქრებით.



აღმოსავლეთის კითხვებში
ვინაც დაიკვეხა
ყველამ ლოიდ-ჯორჯივით
ცხვირი მოიტეხა.

აღმოსავლეთის კითხვებს
გადასწყვეტს თვით ხალხი

თქვენ კი ძველო ჯალათნო
გადაიცვით თალხი.

ამ კითხვის მოგვარებას
კომინტერნი უძღვება,
იმის ძლევის გუგუნით
კვდება ყველა უძლება.

# ოქტომბრის რევოლიუციის ძეგლი *)

(აპოთეოზი).

მაღალ პიედესტალზე (კვარცხლბეკზე) სდგას უსაზღვროებისაკენ გაჭენებული რაში, ზედ მზისკენ ღიმილით მყურე მხედრით, რომელსაც მარცხენა ხელით აღმართავს აღმოდებული დროშა, და მარჯვენაში უჭირავს მოქნეული, ელვარე ხმალი, რომელსაც სისხლის წვეთები სდის...

პიედესტალზევე, მარჯვნით სდგას დამკლავებული მუშა, მარჯვენა ხელით ურო-თი გრდემლზე, მარცხენა რაშის ტახტზე უდევს და ღიმილით შეჰყურებს მხედრის გაფრენას; მარცხნით სდგას გლეხი მარცხენა ხელში ნამგლით, მარჯვენათი ტახტზე დადებულ ხელით, აგრეთვე მღიმარედ შემყურე. მხედრის დაბლა ამაყად სდგას მეზღვაური საყვირით.

პიედესტალი შემკულია მანქანების ნაწილებით და თავთავ-ვაზით. უკანით სდგას თმაგაშლილი ქალი ნათელ-სახით, მწვანე რტოთი ხელში; მეორე ხელში უჭირავს ჩირაღდანი ხუთქიმა ვარსკვლავის გამოხატვით.

შორს მოსჩანს მინდორ-მთები, ქარხნები, ზღვა კრეისერებით. ფირუზოვან ცაზე წითელი ლენტი ცისარტყელად გაკრული, ზედ ხუთი წლის განმავლობის სილუეტებით.

დაბლა გდია განგმირული სხვადასხვა მრავალ თავებიანი, ვეშაპი—ძველი ქვეყანა, ისმის სიმღერა:

წითელი ოქტომბერი,
მიჰქრის ელვის ჭენებით;
ჰქრება ქვეყანა ბერი
ახალი მზის თვენებით.

ცეცხლის ფრთებიან რაშზე
მღერს ამაყი ჭაბუკი;
აგუგუნებულ ტაშზე
ისმის ზღვევისა ბუკი,

დროშა აღმოდებული
მთელს სამყაროს ამშვენებს;
ძველს დროს—რკინა ვლებული
ახალ შექმნით აშენებს.

უფსკრულისკენ ეშვება
ფერ-წასული დროება,
რადგან სუსხით ეწვება
რღვეული მყუდროება.

ამეხებულ ძახილით
იბრძვის დაუღალავი;
იგმირება მახვილით
მტერი გადუთვალავი.

გაქანებულ ნებაზე
შრომის კერა იგება;
სტირის შურის გეპაზე
ვინაც მისგან იგემა.

აფეთქებულ ველებით
ისმის ქარხნის საყვირი;
მძლავრ ფოლადის ხელებით
იწყვიტება ალვირი.

ახალ რომის გუგუნი
მსოფლიოზე აიბნა
კომუნისა ღუღუნი
სიყვარულზე აიბა.

ხალხნი ბზისა შტოებით
ყველგან ეგებებიან;
მარადიულ შნოებით
თვალნი ელიმებიან.

წითელი ოქტომბერი
ინტერნაციონალში,
ჭიჟინით მონაბერი
ზეიმობს უქრობ ალში!!.

სიუზერანი.

ზოგებს. პილიტხელი, გ. ნუცუბიძის მეთაურობით სწორმოებს გაზეთებში მოთავსებულ ცნობების ახსნა განმარტება. მაგ.—24 ოქტომბერს ნუცუბიძემ აუხსნა წით.-არმიელებს გაზეთებიდან ოქტომბრის რევოლიუციის შესახებ, აგრეთვე ლოიდ-ჯორჯის გადადგომა და სხვა. ვუსურვოთ ამხ. გ. ნუცუბიძეს, რომ ასეთი მუშაობა უფრო ძლიერი ტემპით ეწარმოებიოს, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს წ.-არმიელთათვის.

სამხკოლი ვ. ნეფარიშვილი.

## ნაყოფიერი შაბათობა

შეერთ. სამხ. სკოლის უმწყობრო ასეულში, მოვაწყვეთ შაბათობა 28 ოქტომბერს. გაწმენდილ იქნა ეზოდან ძველი დროის ნაყარი ნაგავი. რისგანაც ეზოში იყო შექმნილი ბუდე ჭაერი რის გამო ადვილი შესაძლებელი იყო ავადმყოფობის გაჩენაც. მუშაობაში ყველა მონაწილეობას დიდი ხალისით იღებდა წ. არმიელები, და გულის უფშემადგენლობა: მუშაობა სწარმოებდა ოთხი საათი, რომლის განმავლობაში ეზო დასუფთავებული იქმნა. რის შემდეგ წით. არმიელები გაიგზავნენ აბანოში. შაბათობას ხელმძღვანელობდა ამხ. მჭედლიძე, რომელმაც პირნათლად შეასრულა ამის მიერ დაკისრებული საქმე, და თავიდგან აშორებულ იქმნა ავადმყოფობა უსუფთაობის გამო, რაც თავდებია წ. არმიელთა ჯანსაღობისათვის.

ვალერიანი.

# პარტიული ცხოვრება

შვიდ ოქტომბერს მოწვეულ იქმნა ლეგიონის პარტიის წევრთა და კანდიდატთა საერთო კრება, რომელზედაც დაესწრენ ოთხმოც ამხანაგამდე.

კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ამხ. პაიჭაძე, მდივნად ვადაჭკორია.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები:

**1) მოხსენება მიმდინარე მომენტზე.**

**2) მოხსენება ბიურო კოლექტივის მუშაობის შესახებ;**

**მოხსენება პარტიის გაწმენდის გარშემო.**

მიმდინარე მომენტზე, მოხსენებას აკეთებს ამხ. **ბუაჩიძე**, რომელიც უხსნის კრებას რუსეთის ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობას, ამხ. მომხსენებელი ეხება აგრეთვე ახალი ეკონომიური პოლიტიკის შედეგებს, საზღვარგარეთ-ისმალეთის ომს და სხვა. მოხსენების გათავებისას იქმნა მიღებული სათანადო რეზოლიუცია: ღრმად დარწმუნებული იმაში, რომ კაპიტალისტების ბატონობას ბოლოს მოუღებს მუშათა და გლეხთა ორგანიზაციული კავშირი. ჩვენ მეორე ლეგიონის პარტიის წევრები და კანდიდატები, ყოველ წამს მზად ვიქნებით უკანასკნელს სისხლის წვეთამდე დავიცვათ საბჭოთა ხელისუფლება“.

ბიურო კოლექტივის მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. **ნანიძე**, ამასთანავე რომელიც იძლევა ანგარიშს თუ რამდენჯერ მოხდა კომუჯრედის კრება, ბიურო კოლექტივის, საერთო პარტიული და უპარტიო კრებები, ბოლოს მიღებულ იქმნა შემდეგი რეზოლიუცია. „მოვისმინეთ რა მოხსენება ბიურო კოლექტივის მუშაობის შესახებ, კრება დამაკმაყოფილებლად სცნობს ბიურო კოლექტივის მუშაობას“.

მესამე საკითხის შესახებ, მოხსენებას აკეთებს ამხ. **ბუაჩიძე**, რომელიც ვრცლად და შინაარსიანად აცნობს კრებას, თუ რა მნიშვნელობა აქვს პარტიის გაწმენდას.

მოხსენების შემდეგ კრება ერთხმად ადგენს, რომ მაქსიმუმი ენერგია გამოიჩინოს თვითეულმა პარტიის წევრმა, პარტიის გამწმენდ კომისიასთან ერთად, რათა **პარტიიდან განიდევნონ არა საიმედო პირები**.

ყარაჩოღელი.




## ცუდად ჩირქს ნუ სცხებთ.

ამხ. ხელთუბნელო, თქვენს წერილში ჩვენი გაზ. „წითელი არმიელის“ №121-ში ეხებით ამხ. ჯიბუტს და ამბობთ, რომ ის თავის მოვალეობას პირნათლად არ ასრულებსო. ეს გარემოება უნდა მიეწეროს იმას, რომ თქვენს ამხ. ჯიბუტის პიროვნების და მის მოღვაწეობის ნაკლებად იცნობთ. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის წითელ ჯარში. ამ ზაფხულსაც მას არც ერთი დღე არ მოუცდენია და ენერგიულ მუშაობას ეწეოდა წერა-კითხვის სწავლების საქმეში. მაგრამ თუ მას შვებულებიდან დაბრუნების შემდეგ ორი დღე დააყოვნდა თქვენთვის ეცნობებია თავისი მოსვლა ეს არ ნიშნავს მის უსაქმურობას და გულგრილობას; ეს უბრალო შემთხვევაა.

გ. სამიქაოელი.

## შეფის სტუმრობა.

შეერთებულ სამხედრო სკოლის უმწყობრო ასეულს 20 ოქტ. ესტუმრა საზღვაო სამხედრო კომისარიატიდან ამხ. კუზნეცოვი. მან დაათვალიერა წ.-არმიელთა სადგომები, დაინიშნა ყოველივე ნაკლი და შეგვპირდა მათი გამოსწორებისათვის დახმარებას. მისმა მზრუნველობითი საქმის გაცნობამ და დახმარების შეპირებამ წ.-არმიელებში დიდი კმაყოფილება გამოიწვია.

სამხკოლი ბერაია.

## ვაშა ასეთ გუნდის თავს

მეორე ლეგიონის მე-5-ე ასეულის თავად აქამდე ითვლებოდა ამხ. ხუციშვილი, რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო არა მარტო ასეულს, არამედ მთელ ლეგიონსაც. მე 5-ე ასეულს მან მისცა ისეთი სამხედრო ცოდნა, რომ მთელ ლეგიონში სამაგალითოდ ითვლებოდა. მისი დამოკიდებულებაც წითელ არმიელებთან ყოველთვის იყო ამხანაგური და არავის ახსოვს მისგან წ.-არმიელის შეურაცხყოფა. ეხლა ამხ. ხუციშვილი დანიშნეს ათასეულის თავად, რასაც წ.-არმიელები დიდის სიხარულით შეხვდნენ.

წ.-არმ. კობახიძე

*) შეიძლება, დაიდვას ოქტომბრის რევოლიუც. ხუთი წლის თავზე.

რედ.

## ასეთი უნდა

საინჟინერო ათასეულის სამოსწავლო ჯგუფში პოლიტიკური მუშაობა მშვენივრად მიმდინარეობს. წითელ არმიელები დიდი ხალისით ეტანებიან სწავლა განათლებას და დიდ ყურადღებას აქცევენ გა-




## თბ. მ. მ. ათ-ში.

(კორესპონდენცია „წ. არ“ № 130.)

ალლახმა უწყის რა ხდება
ამ ჩვენს ათასეულში
(ქრთამი უნდა აძლიო
ყველა მიმოხვეულში.)

და წითელ არმიელსა
არავინ აქცევს ყურს;
ყველა ისე ექცევა
როგორადაცა სურს.

„სამ დღის შვებულებაში
ორი ფუთი ლობიო,
თუ არა და რას ვნაღვლობთ?
მოეკიდოთ ობიო.

პურ-მარილი არ იცით,
თქვენ რა ხალხი ხართო?
უფროსთ უნდა გაუღოთ
ქრთამით, გული ფართო.“

სად არის, ო, მითხარით
დაუნდობელი რისხვა?!
რომ ყველა ჰარამზადას
მოხდეს მუდმივ გარისხვა?

დუ.

*) მე ვაჩვენებ მაგათა
„ფართო გულის გაფებას“
ქრთამს—კი არა ლუკმისაც
ვერ მოეხწრონ ალებას!

დაშნა.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან. რედაქტორი—პ. ქუთათელაძე.